



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვირშელი იოანეს ძე

ვირშელი იოანეს ძე (1376 – დაახლ. XV ს. დამდეგი), ცხრაბმისხევის (ქსნის) ერისთავი. ერისთავობის პირველსავე წელს ააშენა წმ. ნიკოლოზის ქვიტკირის ეკლესია. შემოიმტკიცა დვალეები, მნაველები, თრუსოსხეველები, მოხევეები, ფადელ-ცხვატელნი. თემურლენგის 1400 წ. შემოსევის დროს, გიორგი VII-ის დას. საქართველოში გადასვლის შემდეგ, ვ. დედანულით ბეხუშის ციხეში შეიხიზნა. თემურლენგს ბურდიასშვილი ვირშელი გამოუძღვა და მტრის ლაშქარმა „შემუსრა ყოველი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი“. მაშინ ვ-მა ხიზნები ქნოლოს ციხეში გადაიყვანა, თვითონ ბუხუშის ციხესთან შეება მტერს, ხეობის ვიწროებში დაამარცხა თემურლენგის ლაშქარი და გამარჯვებული მიბრუნდა ქნოლოს ციხეში. მტრის შემოსევით ისარგებლეს დვალეებმა და ულალატეს ვ-ს. ლიხთ-იმერეთიდან გადმოსულმა გიორგი მეფემ და ერისთავმა ამის გამო დვალეებზე გაილაშქრეს, დაამარცხეს, ხელთ იგდეს დიდი ალაფი და „დაფლული მრავალი განძი“.

წყარო: ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

მ. ზალდასტანიშვილი
